მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2017 წლის 27 იანვარი

ქ. მარტვილი

,,მარტვილის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„მარტვილის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/01/2017 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.109.016204) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) **დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**";

ბ) **დადგენილებით დამტკიცებული დებულების:**

ბ.ა) **მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე.";

ბ.ბ) **მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია, თუ:

ა) იგი ზედიზედ 3-ჯერ გააცდენს სხდომას არასაპატიო მიზეზით;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

გ) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, გამოაცხადა გარდაცვლილად, ან ცნო მხარდაჭერის მიმღებად, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) გარდაიცვალა;

ე) გამგეობის თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრის სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეწყვეტა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები;

ვ) პირადი განცხადება.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარტვილის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გაბისონია**